რესურსის სათაური:	**ადამიანის უფლებები - რელიგიის თავისუფლება (ქეისები)**
ავტორი/ავტორები:	*ნინო გვარამაძე*
სამიზნე აუდიტორია:	**საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მასწავლებლები**
პრაქტიკული გამოყენება:	**ადამიანის უფლებების სწავლება საბაზო საფეხურზე**
რესურსის ტიპი:	**სავარჯიშო**
მიზანი:	**მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებაში**

მოცემული რესურსის გამოყენება მასწავლებელს შეუძლია ადამიანის უფლებების სწავლებისას. კონკრეტული ქეისების განხილვით მოსწავლეები უკეთ ჩასწვდებიან რელიგიის თავისუფლების არსს.

ქვემოთ განხილული ქეისები ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მასალებიდანაა აღებული და სასამართლოს გადაწყვეტილებები ეყრდნობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0

შეგასხენებთ, რომ აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაშია 1999 წლიდან. ურჩიეთ მოსწავლეებს, პასუხის მოფიქრებისას გამოიყენონ ევროპული კონვენცია.

1. *გააცანით მოსწავლეებს ქეისი.*

ბაიატიანი სომხეთის წინააღმდეგ (2011 წლის 7 ივლისი)

2001 წლის 25 იანვარს, ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას, სომხეთმა აიღო ვალდებულება, სამი წლის განმავლობაში შემოეღო სამოქალაქო სამსახური, როგორც სამხედრო სავალდებულო სამსახურის ალტერნატივა. 2003 წელს სომხეთის მოქალაქე ბაიატიანი, იეჰოვას მოწმე, დააპატიმრეს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო. ბაიატიანი სამხედრო სამსახურზე უარს ამბობდა რელიგიური რწმენის გამო. მოგვიანებით ბაიატიანის საქმე განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- მიგაჩნიათ თუ არა კანონიერად ბაიატიანის მიერ სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, თუკი იმ დროს სომხეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურს?
- როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ევროპული სასამართლო?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

სასამართლომ უკანონოდ სცნო ბაიატიანის დაკავება, დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა და სომხეთის მიერ საერთაშორისო ვალებულების არშესრულება. სასამართლომ შეიწყალა ყველა რწმენის გამო თავისუფლების აღკვეთამისჯილი.

2. *გააცანით მოსწავლეებს ქეისი.*

მინოს კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ

მინოს კოკინაკისი (საბერძნეთი), იეჰოვას მოწმე, 60-ზე მეტჯერ დააკავეს პროზელიტიზმისთვის (***პროზელიტიზმი*** - მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ). მისი საქმე განიხილა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- როგორ ფიქრობთ, უნდა დაეკავებინათ თუ არა მინოს კოკინაკისი?
- ევროპული კონვენციის რომელ მუხლს გამოიყენებდით, თქვენი მისაღები რომ ყოფილიყო გადაწყვეტილება?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

1993 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში - კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ - არსებობდა მე-9 მუხლის დარღვევა.

განმარტება მასწავლებლისთვის. ინდოქტრინაციის დაუშვებლობის პრინციპისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი მე-4, პუნქტი მე-9 თანახმად, „მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ (გარდა იმ სკოლების მასწავლებლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას“.

3. *გააცანით მოსწავლეებს ქეისი.*

ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ

ბულგარეთის მუსლიმების მთავარი მუფტი და ისლამის მასწავლებელი უჩიოდნენ ბულგარეთის ხელისუფლებას მუსლიმთა თემის ხელისუფლების შეცვლისა და წესდებაში ცვლილებების გამო.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- ხედავთ თუ არა რაიმე დარღვევას?
- თქვენი აზრით, რომელია წამყვანი საკითხი ამ ქეისში?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ჩარევას მუსლიმური თემის შიდა ორგანიზაციულ საქმეში და რელიგიის თავისუფლების ხელყოფას. სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს რელიგიური თემის შიდა საქმეში.
2000 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლის დარღვევას. ამ ქეისში წამყვანია სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის საკითხი.

4. *გააცანით მოსწავლეებს ქეისი.*

ჰაგარ ლაჩირის საქმე

ჰაგარ ლაჩირი გამოცხადდა ბელგიის ერთ-ერთ სასამართლოში, რათა ეთქვა, რომ მისი ძმის სიკვდილში ბრალდებული მამაკაცი უნდა გაესამართლებინათ მკვლელობისათვის და არა უფრო მცირე დანაშაულისთვის. ეს მძიმე დღე იყო დაღუპულის ოჯახისთვის, რაც კიდევ უფრო დაამძიმა სასამართლოს დამოკიდებულებამ ჰაგარის ჰიჯაბის მიმართ - თავსაბურავის, რომელიც მან აირჩია, როგორც მორწმუნე მუსლიმმა.

მაგისტრატმა დარბაზში შესვლამდე მიუთითა ჰაგარს თავსაბურავზე და მიანიშნა, რომ კანონის თანახმად, იგი ვერ შევიდოდა თუ არ მოიხსნიდა მას. ჰაგარმა ჰიჯაბის მოხსნაზე უარი თქვა. ის არ დაუშვეს სხდომაზე.
ამის საპასუხოდ, ჰაგარმა მიიღო სამართლებრივი ზომები და განაცხადა, რომ მისი უფლებები დაირღვა. ბელგიის სასამართლოებმა საბოლოოდ უარყვეს მისი საჩივარი.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- კანონის თანახმად მოსამართლე მართალი იყო. რის საფუძველზე თვლიდა ჰაგარი, რომ მისი უფლებები დაირღვა?
- როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილება მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიამ დაარღვია ჰაგარის რელიგიური თავისუფლება. ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ჰაგარს სურდა თავისუფლად გამოეჩინა თავისი რელიგია და მისი უფლების შეზღუდვით ხელისუფლება იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს. ეს იყო ბელგიელი მაგისტრატის ინტერპრეტაცია ქვეყნის სასამართლო კოდექსის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „ვინც ესწრება [სასამართლოს] სხდომას, უნდა დადგეს თავსაბურველის გარეშე, პატივისცემით და ჩუმად“.

იმის გამო, რომ ჰაგარი არ იქცეოდა უპატივცემულოდ და არ წარმოადგენდა საფრთხეს ბელგიის სასამართლოსთვის, არ შეიძლება გამართლებულიყო მისთვის დაწესებული შეზღუდვა, დაასკვნა ევროპულმა სასამართლომ.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, ბელგიამ 2021 წელს შეცვალა სასამართლო კოდექსი. სიტყვების „თავსაბურველის გარეშე“ წაშლით, იპოვეს საბოლოო გადაწყვეტა ჰაგარის საქმეზე წამოჭრილ საკითხზე, ასევე, სამედიცინო მიზეზების გამო თავსაფრების ტარებაზე.

აქ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებთან ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ კოდექსში შევიდა ცვლილება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ანუ, ბელგიის ადგილობრივი კანონმდებლობა მოვიდა შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტთან - ევროპულ კონვენციასთან.

რესურსში გამოყენებულია მასალები ვებგვერდიდან [Freedom of conscience and religion: landmark judgments - The European Convention on Human Rights (coe.int)]